

ԱՐԵՎԵՆ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



N 7

ՅՈՒՆԻՎԵՐՍԱԼԻՏԱՏՈՒՄ.— ՈՅՄԱՆ. —

1910



## შინაარსი:

I—ბულბული—ღეჭვი, დ. თერდოსპირელის . . . . .	3
II—ოქ, რა ყარგი ხარ ოცნებავ ტკბილო—გაფა-ფშაველასი. 5	
III—პატარა მამულის შევრლი,—დე იმიჩისა (თარგმანი იტა- ლიურით) . . . . .	15
IV—ბელნიერი პრინცი,—თხევარ იუსტიდიდან (თარგმანი) ედ. ანტონოვიკის . . . . .	19
V—გოგია, —ღეჭვი, ნ. ჩხილვაძის . . . . .	31
VI—პატარა გირჩის ბალი,—ამიავი უიდასი, (თარგმანი) ნი- ნა შარაშიძის . . . . .	37
VII—ქვა-ნახშირი, —დ. ახ. . . . .	46
VIII—ფუტკარი და შისი ცხოვრება,—წერილი შერევა, საფუ- ტო ადგილის არჩევა, თაფლის მომცემი შცენარე. ა. წე- ლაძის . . . . .	52
IX—უძრავი და ცოლმილი ვარკვლავები, (პლანეტები).— (თარგმანი, დასასრული) ვასო დამბაშიძის . . . . .	57
X—ნარევი: —ა) შარადა,—ბ) რებუსი და ალსნა . . . . .	63



ଓଡ଼ିଆ  
ପ୍ରକାଶନ  
ମେଲା

# ବ୍ୟାଙ୍ଗନ ପତ୍ର

№ 7.—୦୩୩୦୬୦, 1910 ଫ.



ପ୍ରକାଶନ-ମହାପ୍ରଦୀପ ଚିଠିବନ୍, ଗାମଣପିପା, କାନ୍ତପୁର, ଓତ୍ତିନାୟିକା।

## მისარჩი:

I—ბულბული — დექტი, დ. თურდისპირედისა . . . . .	3
II—ოვ, რა კარგი ხარ ოცნებავ ტკბილო — ჭავა-ფშავედასა .	5
III—პატარა მამულისშვილი,—დე იმიჩისა (თარგმანი იტა- დოურით) . . . . .	15
IV—ბელიიერი პრინცი, — თხევარ იუადდადან (თარგმანი) ელ. ანტონოვასისა . . . . .	19
V—გოგია, — დექტი, ნ. ნინკვაძისა . . . . .	31
VI—პატარა გარერის ბალი, — აშხავი უიდანი, (თარგმანი) ნი- ნო შარაშიძისა . . . . .	37
VII—ქვა-ნიშშიტი, — დ. ახ. . . . .	46
VIII—ფუტკარი და მისი ცხოვრება, — წერილი შერგე, საფუ- ტკრე ადგილის არჩევა, თაფლის მომცემი მცენარე. ახ. წუ- ლაძისა . . . . .	52
IX—უძრავი და ცოლმილი ვარკვლავები, (პლანეტები), — (თარგმანი, დასასრული) ჭავა დაშბაშიძისა . . . . .	57
X—ნარევი: — ა) ზარალა, — ბ) რებუსი და აღსნა . . . . .	63

—♦—♦—♦—♦—♦—



፩፻፲፭፻፲፭፻፭፻

ପ୍ରିୟତକ୍ଷେତ୍ର: ପ୍ରସାଦମୁଣ୍ଡଳ ଶିଖ ପ୍ରତିରହିତ,  
କୌଣସି, କାନ୍ଦାର ରାଜୁପୁରୀଙ୍କା?

၃။ ရတန္တပါ မြေပြောပြုလျှင် ပွဲလုပ်လျှင်  
သောက စွဲချို့ ပျော်မြို့ဝါရီ၊  
ဂုဏ်ပိုင် သံ ဇာတ်ပြောပြု မြေတုမြင်  
ပြုရမှာနဲ့ ပြုလုပ်-အမြဲ-သမီးဝါရီ။

ପିଲ୍ଲା କରୁଣାଙ୍ଗ-କି ମିଳିଲ ଶେଷିତା  
ଧନଦୟକ ମିନଦୁରାଜ ରୂପାନନ୍ଦ,  
ଶ୍ରୀକାନ୍ତ ଶ୍ରୀକାନ୍ତର ରୂପନ୍ଧରା  
ନାହାର ଶେଷକାନନ୍ଦ;

ქალწულებრივის სინაზით,  
მორცევი და თავაშიანი,  
ბუჩქებიდან უღიშის  
ზამბაზი მუქ-ფოთლიანი.

ମତିଲେ ଏମଦ୍ଦାର୍ଗେ ହରୀଗଢ଼ିନ୍ଦ୍ରାଜା  
ନାହାରେ ମସ୍ତୁକ-ଫୁଲତଳାଙ୍କି,




ଓଡ଼ିଶା ସଂଚାର ମହାକାଳ  
ପାଠ୍ୟ ବିଭାଗ

ରାଜରାଜେଷ୍ଟ୍ର ପ୍ରଦୀପନ୍ଦ୍ରଦ୍ଵାରା  
ପରିପୂରଣିତ କାବ୍ୟାଳ୍‌ମହାକାଳ  
ଏବଂ ଉତ୍ସବରୂପରେ ଲାଭପ୍ରଦଶ୍ରୀ  
ପରିବ ନାମି ଅନୁଷ୍ଠାନିକାନିକା.

ମାତ୍ର, ରାଜାଙ୍କ ଅନ୍ତରେ ଯୁଦ୍ଧମହାଦ୍ଵାରା  
ପ୍ରଦୀପନ୍ଦ୍ରଦ୍ଵାରା  
ରାଜରାଜେଷ୍ଟ୍ର ଏବଂ ମହାକାଳର ଶ୍ରୀପଦିତା  
ମଧ୍ୟାସାନି ଅମୋଦମାନିକା?

ଡ. ତୁରନ୍ତଫଳସମୀକ୍ଷାକାରୀ.





“თუ არ გამოი ხდო, თუ წნებავ ტკბილო! ”



ემოდგომის ერთეულიანი დილა იყო. ნის-  
ლი აბლაბუდასავით იბმოდა ხეტეს  
სახლის წინ ბლისა, ალუბლისა და ქლი-  
ავების ტორებში. სთხოვდა რასმე, თუ  
რამ მოუტანა გაცყრილს ხეებს, დღე-  
საც არავინ იცის. ეტყობოდა, ნისლი  
დიდხანს არ უნდა დარჩენილიყო ხე-  
ტეს ეზოში: დილის მზის სხივს ელოდა  
მხოლოდ, რომ იმას უსდეჭმურად არ და-  
ნახვებოდა; ვგონებ, იმიტომ უფრო დაფუძნულებდა. პნახვე-  
და-რა მზის შეკი, წიფილოდა და იქვე მიხლობელ სერჩე დაი-  
სკევნებდა გაბურულ პატარძალიერით.

ხეტე ნისლის ყურას როდი უგდებდა. გულ-მოღვინედ დე-  
რეფანში გოდორსა სწნავდა; გვერდზე წნელის კონა ედო; სწნავდა ხეტე გოდორს და თანაც ხენეშოდა, კაცს ეგონე-  
ბოდა, ზურგზე მძიმე ტვირთი ჰკიდია. რამდენ წნელსაც-კი  
ჩაწნავდა გოდორის ფეხებს, იმდენჯერ „ჩავიც ენგრეო!“ თან  
დააყოლებდა. ეტყობოდა — მის წონდა ხეტეს თავისი ნამუ-  
შვეარი.



— რას იყენებ, მამი? — მოესმა ხეტეს. იხტელა და ნახა თავის ხუთის წლის ვაჟი გოგა, თავშიშველი, ფერშიშველი, მარტო პერანგის ამარა. გოგა, მამას რომ შეეკითხა, თან ორივე ხელით თავს იქცევავდა. — ეე რა ძრის, მამილო? — განუმეორა კვალიდ შეიღმა. ხეტემ თავი მაღლა ასწია, შეიღმა დათვალ-ჩათვალიერა, სახე შეიცმუხმა, თვალები დაუბრიალა.

— ეს, იცი, რა არი? ეს ის არი, გასწი ამ სათში, ტანთ  
ჩიცუი, თორებ მე ვიცი, რაც არი. რა მოგარენიებს კარში  
ტიტლიენას, შე არამხადევ?!.. დედაკაცო, არა ხორ შინა? ჩა-  
ცვი ბალლს ტანთა. დასწყევლა ღმერთმა, რაზე ეკვლეინება  
სიცივეს ეს ოჯახ-დაქცეული ეს ბალლია, არ იცის; შენ ხომ  
აღარა ხორ ბალლი? მე ტყავი მაცვია, მცვია და პერანგა  
ბალლს აა ხეირი დაეყრება! „ბალლის ნაწლევები ჯაგზე ეკი-  
და და კიდევ გარბოდა,“ ტყუილად კი არ არი ნითქვაში.

ვიღორე ხეტე ამ სიტყვებს გაათავებდა, გოგას დედა უკვე კარებში გამოჩნდა, თან შეილის ტანისამოსი—ქუდი და ახალუხი მოჰქონდა. შეილს ორივე ხელი დაუკირა და ძალიდ იყოფინებდა ახალოხის სხელებში:

— ჩიიცვი, შვილო, ჩიიცვი, გენაცვალე, შეგცივა, ივალ-  
გაქხდები. უნდა დამიღონ და დამაძმარო, მატირო და მავა-  
გლოხო. რადა? რისთვის? ჩიიცვ ტანთა, იპს რა სჯობია  
ჰო, ემაგრე, იშ, როგორ უხდება! ერთი უცქირე, კაცო, რო-  
გორ უხდება ეს წითელი აზალუხი და ბუზმენტანი ქუდი? — ამ-  
ბობდა გოგას დედა.

— ესმის ახლა, რომ უხდება და თბილად ჩაცმა სისარ-  
გებლოც არი? რომ ესმოდეს, ტიტველა კარში არ გამოვარ-  
დებოდა. არ ესმის და მე გავაგებინებ, ერთი ღმერთშე პრძა-  
ნოს და ვნახო კიდევ მაგ ყოფაში! გავიხარიან, იმდენი მი-  
ვარტყა, ნახევარი ვერ დათვალოს. სულ, აი, ამ წკეპლებით  
უქებში და კანკებში: ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი...  
სწორედ! — სოჭვა ხეტემ.



გოგა ბაი-ბუად არ იცლებდა მშობლების დარღვეულების მუქარას. ის ისევ თავისას გაიძიხოდა, იმას ისევ ის აწუხებდა, თუ მაშა რას იკეთებდა.

რად გინდა ეგა, მაშა?—დაეკითხა კვალად შვილი მამას. ხეტე, ნაცელად იმისა, რომ ეპასუხნა შვილისათვის, თავად დაეკითხა:

— ძალიან გინდა, იცოდე, რას ვაკეთებ ამას და ან რად მინდა?

— ჰო!—უპასუხა გოგამ.

— მაშ, გეტუვი: ეწნავ გოდორს, ამას გოდორი ჰქვიან. რად მინდა გოდორი? გოდორი იმიტომ მინდა, ჩაგსომ შიგ და წაგიყვან ქალაქს, სკოლაში; თუ არ გოდორით, სკოლაში ბალლის მიყვანა არ შეიძლება. წესი ეგრეა. სკოლაში უნდა წაგიყვანო, ეგები იქ მაინც დაჭკვიანდე.

— არრა,—წარმოსთქვა გოგამ: — მე ცხენით წამოვალ.— სთქვა რა ეს ბავშვება, გამოიძრო წნევლის კონას მოზრდილი საწრებადა გადასცა მამას: — მამა, აი, ამის ცხენი გამიკეთე.

— რამდენჯერ უნდა გაგიკეთო, ბიჭო, ცხენი? აკი გვყინდა, რა უყავი?

— ლერენამ მომვარა.— მიუგო გოგამ. შეწუხებულის კილოთი.

— ერიპაა, შენ რომ ქვეყანას პარვინო ცხენები, ეგ ხელს არ მოგეცემს, კარგად უნდა მოუარო, ყური უგდო! უნდა ბორკილი დაადო ფეხებზე, — სთქვა ხეტემ.

— ლობეზე დავაბი და... — წარმოსთქვა გოგამ ყელ-გადაგდებით, თავდაკიდებით. — აი, ამისი გამიკეთე, მამილო, სხვა, კარგი ცხენი. — ხეტეს, თუმც თავი ჰქონდა მობეზრებული შეილისაგან სხვა და სხვა დავალებით — ეს ცხენი გამიკეთე, ეს სტეირი, — ხშალი, თოფი, ხანჯალი და სხვა, მაგრამ მაინც საყვარელ შეილს უარს ვერ ეტყოდა. ხეტემ სახრე ნამოართო, დროებით თავისი ხელ-საქმე შეაჩერა და შეუდგა ცხენის კეთების. დიდ დროს მაინც და მაინც არ ანდომებდა ხეტე შეილის სათამაშოების კეთებას.



გადაზომა თავიდან სახრე ერთ შტკაველზე ჰქონდა დაუტყვია  
დია ძირიდან დანით. ამ ნაკლევიდან გადაზომა შტკაველზე  
მეტი, დაუკდია იქაც, ხოლო ზემოდან ჭდევბის მიხედვით  
რომ აფერი-დაგერივათ სახრისთვის, მართლაც კისერ-მოლე-  
რებული ცხენი დაგრდგებოდათ თვალწინ.

— Յուրու քառակը տղ, թամո, Յուրու, լսացամո օմոցլու. — Եղանգ-  
ծովա տացեց Շամոմիլցահու, Տեսե ցածրՇպոնցը լուս ցողա.

— ესეც პირი! — სთვა ხეტემ და თანაც დაუწყო დანის წვერით ლრუტნა სახრეს პირის აღგოლას.

— პოლო, კარგად არის მნია! — სთქვა გოგამ. ჩამოართო  
მამას ცხენი, ამოსდო პირში კინაფი, ამოულრიცა კისერზე,  
მოახტა და დერეფანში გაატარ-გამოატარა. ხოლო ხეტე შე-  
უდგა ისევ გოდრის წევას.

ვოგას ცხენი ძალიან მოეწონა. ზედაც კოხტად გამოი-  
ჰიმა, მაგრამ რომ ნამდვილი „ურადნიკი“ სოფრონია ყოფილი-  
ყო, ჯერ ბევრი რამ აკლდა და ამიტომ თავდარიგს შეუდგა:  
ცხენი იქვე მოაჯირს გამოაბა აღვირის ტანლით, თავად-კი  
სახლში შევიდა, რომ იარაღი აესხა. დიდხანს არ დააყოვნა;  
მოძებნა იარაღს საწყობი და გამოეწყო იარაღში. ყველა ეს  
იარაღი ხეტეს ნოსტატარი გახლდათ, თუმცა როგორ შე-  
გვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ხმალი ჰქონდა ხოროსნისა,  
ხანჯალი—ბაზალი, დამბაჩი—ფრანგული, თოფი—ყირიმი, მა-  
თრახი—წკეპლა, ბოლოზე ბაჭარ-მობმული. ყელზე წითელი  
ხელსახლცი მოიხედა, წითელ კაბალახის მავიკრად. მესტებისა  
ან თუ წექმებისთვის ბევრს არა დარღობდა, ოღონდ იარა-  
ღით ყოფილიყო სრული, დანარჩენის დარღი არა ჰქონდა.  
იმდენს არბენინებდა „არაბეს“ (გოგაც თავის ცხენს, რო-  
გორც „ურადნიკი“ სოფრონია, არაბეს ეძახდა), ვიღრე კარგად  
არ დაიღლებოდა, დაიქანცებოდა და ჩამდენსამე აღგილას  
ფეხებიდან ქვებზე სიჩბილით სისხლი არ დაედინებოდა.  
„სოფრონა ვარ, სოფრონა!“ ჰყვიროდა გოგა და თან მე-  
რანს მიათამა შებდა მათრახის ტყლაშენით. ეს ჯირითი ისე  
გაიტაცებდა ხოლმე, რომ ხშირად უსაფილო ჩრებოდა.



## II

ეროვნული  
სიმამართება

იარაღში ჩისმული გოგა მოახტა ცხენს, ამოულრიცა კისერი, ე. ი. კოხტად დააპერინა თავი და დააქანა თავშევ წევულებრივის კიუინით, რძეებზე ქვებიც გოგის ძალის იმორებდნენ: „შოვიდა სოფტონა, გზა დაუთმეთ, გზაო! ჯაან, ბიჭო სოფტონ, ჯაან!“ გაიძახოდნენ ქვებთან ქრთად ხევბი, ბალიხები. გოგის თავის ყურითაც გაუკონია მცენარეთა ქება-დიდება. კარგა ხანს არპერინა გოგამ ცხენი იქეთ-იქით, ხაე რომ ცხენს წინა მარჯვენა ფეხზე ნილი ავარდა და უკანა ფეხებზედაც ნაღები დაეძრა. „ცხენს წყალი მოსწყურდებოდა“ გაიფიქრა მხედარმა და გაქუსლა იქითკენ, სადაც წყალი შეულებოდა; მიაგდო მდინარეზე, ცხვირი წყალში ჩაყოფინა, რა თქმა უნდა, დაწლევდა და გაძლებოდა კიდეც.. ჰომო, დალია, გაძლია! მხედარს გალმა გასვლა სწადიან.

მხედარო, შედარო, გულოვანო, ახოვანო! შესდევ, ნუ მოსდიხარ, დაუძახა მდინარემ: თორემ ცხენს დაგირჩობ, შენც კარგა ლაზათიანად გაგრუშავ, დაგისველებ თავიდან ფეხებიმდის. თუნდაც არ დაგირჩო ცხენი, მაინც ცოდოა: შესცივა, ფეხები დააზრება; მე მთის წყალი ვარ, ყინულივით ცივი; შესცივა შენს ცხენს ისე, რომ აძაგმაგებდეს, კბილს კბილზე აცემინებდეს. ცოდო არ არის — შესცივდე? ნუ, ნუ, არ გაბედო წყალში შემოსვლა, თორემ ბოლოს ინანება!“

მხედარი შესდგა, დაფიქრდა, გულში გადასწყვიტა: მაშ, არა ლირს წყალში გასვლა. რა მინდა ან-კი გალმა, რომ გავიდე. რაო ჩემო? სჯობია, არ დაესველო, მართლაც შესცივა; ერთი ფეხი ჩისდგა მხედარმა, ემწვავა. მეტე როგორი ლოდებია! როგორა სცემს ტალღა ლოდებს? შეიძლება ცხენმა უეხიც დააჯახოს ქვასა და იტკინოს. რადა? რა ძალაა? სჯობია, ისევ ტოლ-ამხანაგები მოვძებნო: ღერენა, დათა, კორკოტა და სხვა. საით იქნებიან ნეტავი? ეკითხება თავის თავს და თითონვე აძლევს პასუხს: უმქოლად ძველ საყდართან იქნებიან; აბა, ჩემო არაბკავ, უნდა ძველ საყდრისკენ გამაქ-

როლო. თუმცა კარგა შანძლივა, მაგრამ შენ ფეხ-მარტინს, უ შეიძლებ იქ მიმიყვანო ჩქარი.

თქმა და ქმნა ერთი იყო. მხედარში ცხენი გაქუსლა. თავიანთ ბოსტანზე გააკენა, რადგან ამაზე გზას უფრო მოკლედ მოსკრიდა. ცხენს ლობეზე გადაახტუნებდა, ცოტა მინდონს გაიღლიდა და ხელიდ ძველ საყდაროან დაიბადებოდა. მხედარი, ბოსტანში დიდ კაკალს რომ დაუახლოედა, შექრდა, რადგან კაკალ ჭვეშ რამდენიმე ჩამოვარდნილი კაკალი იპოვნა. გატეხა ქვით ერთი, მეორე, მესამე... ეგემრიელა... ცოტა არ იყო, პურიც მოშივნოდა. შვანეც მოეწონა მხედარს. რა უშავს, რომ ცხენშიც ცოტა - მატა ბალახი მოძოვოს, რადგან, უკველია, იმასაც მოშივდებოდა. ხომ მოგეხსენებათ, მგზავრობის წესი? დანაყრება, ცხენის საძოვარზედ გაშვება და თვალის მოტულება ერთი მეორეზეა გადამბულ-გადაკვანძული... მერე რა საამური ტაროსია, რა მშვენიერი ამინდი: ნისლი გორაკაზე სძინავს ტებალად, უდარ-დელად. ცხრა თვალი მხე იკანება. ჩეროც საამური შექვედა მხედარს. მხედარში ცხენი საძოვარზე გაიუშვა; მხედარი ქვით ქვაზე კაკალს ამტვრეს, გემრიელს ნიგოზს შეექცევა, ცხენიც საძყურა ბალახს ახრამუნებს. ორივენი ქეიფობენ... ცხენს არ ეძინება, მხედარს-კი სოვლებს, თავს იკანტურებს, ჩასოვლიმა... ჩაეძინა... თავი შელივზე დაიდო და ხერინვა ამოუშვა. თავის არაბეს პირის ჩქამი, იქვე პატარა წყაროს ჩერიალთან შეართებული, ტკბილ ნანაც ესმოდა; ტკბილ სიზმრებში გაერთო: დიდი გაზღიულიყო, წვერ-ულვაში დამსხმოდა.. დღევანდელი არაბე ნამდვილ არაბეკად ქცეულიყო: ოთხი ფეხი ჰქონდა, უურებს მალხაზად ცქვეტდა, თვალებს აფეთხებდა, ძუს იქეთ-იქით იქნედა... ჭიხვინებდა და ცალს ტოტს მიწაზე სცემდა... გული, იარაღი შევერცხლილი ჰქონდა... ნამდვილი სოფტრონა იყო...

ამ დროს ბებერ კავალზე კოდალი დატხაურობდა. ხის ფქვილს ცენტრით და ნისკარტით დაბლა ისროდა...

— յինո՞ւ... յինո՞ւ... օլքյո, Յարտահաց, օլքյո, ըառլազոց! Կեցն սպառո մուշգլոց, տեսուն Ցողձահոմ. ոհ, և Ռյանլաւ զծնեցն,

ნეტავი შენ! ნეტავი მეც შამეძლოს ეგრე ტკბილი და ვინდეჭილა კოდა... კრისტიანი. კრისტიანი! — გაიძახოდა კოდალი და თანაც არა ჰდალატობდა თავის საცვარელ ხელობას.

— ჩხი-ჩხი-ჩხიი! — დასძახოდა კაკლის მეორე ტოტიდან ეშვე ჩხიკვე: — ადე, ბიქო, ადე, შე სულელო! ეგრე ბრი-კულად როგორ მიენდე ძილსაშან იცი, რამდენი მტერი გახვევია გარშემო? რომ მოვიდეს მტერი, იყაროს ეგ მშვე-ნიერი იარალი და წაილოს, შენ ხომ ვერაფერს გაიგებ. ჩხიი-ჩხააა, ჩხომო! დებო, ძმებო, ნათლიდედებო, მოდით, ნახეთ მხედარი, როგორ გულიანიდ სძინავს, მოდით ნახეთ-და! ნეტავი ვიცოდე, მართლა მაგრა სძინავს, თუ თავს იმ-ძინარებს? გულზე რაღაც ლილი ურბჭყვინავს, უნდა მოვპარო. მაგის ხმალი და ხანჯარი, თოფი და დამბაჩა რაში მეპრია-ნება! „იხვ, რა ლილია, უნდა ავიძრო“. ამბობდა რა იმას ჩხიკვი, თან ნისკარტით წყირებს ამტვრევდა და ესროდა გულუმრყვილო მხედარს... ხომ არავინა მხედავს? კოდალი მალოა აფხაკუნებს ფეხებს, ყეყეჩია, ის ვერაფერსაც ვერ გაი-გებს. მოდი, ვდი, რაც იყოს — იყოს! — ჩახტა ჩხიკვი და ერთ ადლზე დაუჯდა მხედარს... სძინავს, სძინავს, ვერაფერსაც ვერ გაიგებს. რა ლამაზი ლილია, როგორ გაუხარდებათ, ჩემს ბალანებს რო მიკუტანო!“

— ყი-ყი-ყიიი... ყვიტე!

— ეს რის ხმაა? რი, გავიწყდეთ ხმა და სახსენებელი, კა დროს თქვენ აპყირდით! — წარმოსთქვა ჩხიკვმა, დაი-ნახა-რა ბაყაყები, რომელნიც იქვე, პატარი ოლედან გამო-მსხდარიყვნენ და უთვალთვალებდნენ; ჩხიკვმა მიანება თავი ბორიტ განძრახვის, იყვირა, შექხტა კაკლის ტოტზე და დინწყო ყვავილი ჩხავილი.

— ჰაი, ეგ არამზადა, ეგა! რაღაც ავ-სულობა ეწადა და, ჩვენი ხმა რომ გაიგონი, ველარ გაბედა. — ამბობდნენ ბა-ყაყები და თან იცინოდნენ ჩხიკვზე: — იხლა ყვავილის ჰბე-დავს, ვერ უყურებთ? ჰაი, შე ქურდო, შენი! დაგინახეთ,



ვაეგძატონო, დაგინახეთ, ვიცით, ვინცა ბრძანდების შეფასებულება  
აეძძაკო, საძაგლო! ყი-ყი-ყირი, ყვირიტ”!

— სსისაა, ტაბ-ტაბ,—გაისმა ხშა. კაკლის კენწეროზე  
მტრედები დასხლნენ. ერთი მათგანი მოჰყვა კეყას, თავის  
შვერებას, ხოლო მეორემ დაიწყო ლულუნი. პირველი უშლი-  
და, ანუმებდა.

— სსსულ, გაჩუმდი, დობილო, — უთხრავირველმა.

— რაო, რა მშპევია, რად უნდა გვიწუმდე? რად უნდა  
მოვაკლდე სიამოვნებას? — უპასუხა მეორემ.

— უნდა ეგ სიამოვნება დასთმო, ქაჯან! ჩიხედე დაბლია. კაცსა სძინავს, შეხედე, რამოდენა იარაღი აქვს ტანზე ასხმული? თავის ჭირად გინდა გააღვიძო ლულუნით? ეგ სადაური ჰქონდა.—ეუბნებოდა წყრომით პირველი მტრედი.

მოღულუნებ ხმა გაქმინდა და ორივემ დაბლა დაიწყეს  
ცერა.

— ეგ ხომ ბაეშეია, სულ ჰატარა, ჰაწაწუნტელა! განა  
მაგისაც უნდა გვეშინოდეს? განა ისე სულელიცა ვარ, ეგ  
არ ეიცოდე.. ლუპა—ლუპა... ლურა!. ლავეირგვინა ლვრინვით  
მტრედში თავისი ჰასუხი.

III

საღამოშ მოატანა. ფრინველები შემოეფანტნენ კაჯალს. ის იყო მხეც მოეფარა გორას, მხოლოდ მისი სხივი და-ტრიალებდა მიღალ მთის თხემს, როგორც გამოთხოვებისას შვილი მშობელ დედას. მხედარი ისევ სტკებოდა ტკბილ სიზმრებით: ლურჯს უხენზე იჯდა, შშეენიერ ტანისამოსა და იარაღში გამოწყობრლი დანევარდობდა ცის სიკრცეში, ხან კლდეზე გადაეშვებოდა, ტყის წვერებს ევლებოდა თავზე, ხან წყალში დასცურავდა და ხან მწვანე ყვავილით მორთულ მდელოზე იგოგმანებდა ხაყვარელ ტაიქს. ხალხი, ქალი და კაცი იმისკენ იშვერდა ხელს. ყველა ამას გაიძიხოდა:

„გერმანია მოდის! რა ბიჭია, რა ვარეულია! რა  
ცხენებედი ზის და“!

კავკასიური ტოტზე მხოლოდ შეშეი-ღა გალობრდა. იჯდა კავკასიური ტოტზე, პირდაპირ შეცდრის ასწერივ. ნახა მძი-

ნარა გოგა და თავისი ტკბილი გალობა უფრო დაატყუპისა მხოლოდ ერთი რამ სწყინდა შაშვეს: ღამდებოდა, ციცქა წიგ- გმა დაპბერა, მხედარს-კი ისევ ისე ეძინა. ასწია საგალობელ ჰანგს, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, სიმღერით მაინც დაუ- ფრთხო ძილიო. ით, რას უგალობდა შაშვი გოგას: „გაიღვიძე, პატარა გაიღვიძე. შეგცივა, კარგო, ავად გაჭხდები. განა ჩიტი ხარ, იტანო სიცივე? დაბნელდება და დედაც ვეღარ გიპოვნის. საბრალოს გაუსკდება გული, ელდით ქვევაზე შეს- ცდება. გაიღვიძე, გაიღვიძე, ცხენიც გააღვიძე, ეგეც მძინარა ყოფილა, მაგასაც შენსივით ძილი შევარებია“.

შაშვმა გაათავა გალობა და სწორედ ამ დროს გამოჩნდა სახე—გადაფითრებული, ელდა-ნაცემი სალომე, გოგას დედა; ხეტეც უკან მოსდევდა. ცოლ-ქმარნი დაკარგულ შეილს დაე- ძებდნენ. სალომე, როგორც ქორი ქთამს, ისე დააფრინდა შეილს, დაუწყო ალერსი, იღარ იცოდა რა სიტყვებით, რო- გორ მისალმებოდა; ისე გახირებული იყო, თითქოს მკვდარი გასცოცალებოდეს.

— უცემ არ გააღვიძო, დედა კაცო, არ დააფეთიანო! — არიგებდა ხეტე ცოლსა, იქვე იდგა ისიც ლოინჯ-შემო- ყრილი და გულიანად იცინოდა: — ერთი უყურეთ ამ ავაზაკს და ამის იარაღს, როგორ გულიანად დასძინებია და?! საით რა გამოვიდა ასეთი: მამა არა ჰყოლია ურადნიკი და პაპა, რა ნიხა სოფრონაში, რამ გადაირია, აღია ვიცი.

— გაიღვიძე, შენ გენაცვალე, ჰირი მოგვამე, თავს შე- მოგველე! — ეუბნებოდა დედა შეილსა და თან შებლზე ხელს უსვამდა. — შენს სიყმეს ენაცვალოს დეჯა-შენი, მევარ, გენა- ცვალე! — როგორც იყო, მხედარი გონებაზე მოიყვანეს და მძინარ-შუშარამ ნახევირი საყვარელ სიტყვისა სოფ... წი- ლუდლულა.

— ჴო, ენდე, კიდე სოფრონის ახსენებს! დასწყველოს ლმერთმა ის სოფრონაც და იმისი გადმომზრეული გადარია ბალი იმ ოჯახ-დაქცეულმა. — სთქვა ხეტემ და თან გულია- ნად გაიცინა: — ერთი მაგის ფეხებს უყურე, სულ დაკაწრული და დასისხლიანებული აქვს. სალომემ ფეხებზე ხელი წაუსი და შემოიკრა თავსა და პირში:



— ერთი ნახე, კაცო, რა არის, ამის ფეხებიში სწავლისა  
გახურებულ თორჩნესა ჰგავს, უი, შენ დედას! — წარმოსთქვა  
სალომემ და თანაც თავის აბჯრიანად მობლუჯა, როგორც  
იტყვიან, მომოში და თან გიერეთ სტლოშნიდა ბურანში  
მყოფს გოგოს.

— თორჩნესავითაო? — წარმოსთქვა ხეტემ: — არ შეუძლიან  
ამ კვებსა თუ? .. ხეტეს არაბერ გაედო მხარზე, და ის იყო შინ  
წასელას პირებდნენ, რომ უკანიდან ხმა მოესმათ, ვიღომაც  
აშკარად, ცხოვლად წაილაპარაკა:

„ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტკბილო!“

ცოლ-ქმარნი გაოცდნენ ამ სიტყვების გაგონებაზე; ხე-  
ტემ პირ-ჯვარიც-კი გადიწერა, იქეთ-იქით დაიწყეს ცქერა.  
ვისა პნახევდნენ? .. დლესაც არ იყინ, ვინ წარმოსთქვა ეყ  
საგულისხმიერო სიტყვები. შინ რომ მოვიდნენ, ღვთის მშო-  
ბლის ხატს შეყილი სანთელი აუნთეს ავის სულის ასაცდე-  
ნად. მოიწეოს შემლოცვი დედაკაცი მელანია და გოგას-  
თვის გული შეაზომინეს. უზომავდა გულს გოგას მელანია და  
თან ბუტბუტებდა: „ავო სულო, შორს ამისგან! ანგელოზო,  
ახლო მოდეგში! უცნობის აღამიანის წარმოთქმული სიტყვები-  
კი, რამაც გამოიწვია ეს გულის შეზომა და შელოცვა,  
შთაინთქმა ცის სიცრუეში.

ვაჟა-ფშაველა.





## ପ୍ରାଚୀକା ମାନ୍ୟଲିଙ୍ଗପତ୍ର.

(ગુલારીનાં ડાંડા વર્ણિકિસિસા)

(ପ୍ରାଚ୍ୟନ୍ଦିକା)

სპანიის ქალაქ ბარკელონადგან გავიდა გემი,  
რომელიც იტალიის ნავთსადგურ გენუას მი-  
დიოდა. ამ გემზედ აუარებელი ხალხი იყო:  
ფრანგები, ისპანელები, იტალიელები, შეეი-  
ცარიელები და ბევრი სხვა ეროვნების წარმო-  
მადგენელი. იმათ შორის გემში ჩაჯდა ერთი  
პატარა, თერთმეტის წლის ბიჭიცა. ყმაწვილი სულ მარტოდ  
მარტო იყო, დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა და ცველისაგან  
მოშორებით კუნძულში იდგა; გარეული პარუტყვივით ცვე-  
ლის ერთდებოდა, ცველას მძღლვარებით უბლვეროდა და  
სწორედ ჰქონდა კიდეც მიხეხი, რომ ქვეყანაზედ ისე გამ-  
წყრილი ყოფილიყო. ამ ორის წლის წინად იმისმა დედ-მამამ,  
მართალია, ძრიელ გაჭირებულმა და დაფლახაკებულმა, მაგ-



მაგრამ მთინც დედ-შომი, პალესის შეხლობლად მტკრელი მოქალაქეები გლეხებმა, ეს მშვენიერი ბიქუნა მიჰყიდეს ერთ მოხეტიალე ჯამბაზს. ჯამბაზს ცემა-ტყეპით და შიმშილით შეასწავლა პატრიას თავისი ხელობა და მაშინვე გზას გაუყენა. ჯერ საფრანგეთში დაღიოდა, მერე ისპანიაშიაც გადიყვანა. უბედური ბავშვი თავის პატრიონისგან ცემა-ტყეპსა და ცარიელ ლუკმის მეტს ვერცერს ჰქოდავდა. მოელი დღეები დაჟყავდა თავის პატრიონს ბარცელონის ქუჩებში მშეერ-მწყურვალი და ბევრჯელ კადეც სცემდა.

ბევრის ხეტიალით, შიმშილით და ცემით დასუსტებული ბავშვი თავის პატრიონს გაეპარა და, კეთილ ხალხის ჩაგონებით, იტალიელ კონსულთან მიეკიდა და დახმარება სოხომში.

კონსულმა თანაგრძნობით მიიღო, ჩისეა ერთ ფრან-  
გულ გემში, ჩიაბარი კაპიტანს და დაავილა, მშობლებისთვის  
ჩაეცარებინა, იმ მშობლებისთვის, რომელთაც პირუტყვიფით  
გაჰყიდეს თავისი პირმში შეიღო!

დაფურეწილს და გადაფიტრებულს ბავშვს გემზე ცველა  
გაკვირვებით შესკერძოდა. ზოგი გამოელაპარაკებოდა ხოლ-  
მე კიდევა, მაგრამ ბავშვი ხმას არავისა სცემდა; ბევრის ცე-  
მით და მუშაობით თითქმ გაველურებული იყო და მთელი  
ქვეყანა შესზისლებოდა უსამირთლობისათვის. მაგრამ მგზავრი  
ისე ჩიაცივდა, რომ, როგორც იყო, ხმა მოიაღებინეს. იმისი  
ენა რაღაც ტლანქი და მოუხეშავი იყო, ერთმანერთში არეუ-  
ლი ვენეციური, ისპანური და ფრანგული. მაინც, როგორც  
იყო, უამშო ბავშვი მოგზაურებს თავისი თავ-გადასავალი.  
მგზავრები იტალიელები არ იყვნენ, მაგრამ ესმოდათ-კი იმისი  
ლაპარაციები და სიბრალულით, თუ იმის გამო, რომ კარგა შე-  
ზირხოშებულები იყვნენ, წვრილი ფული აჩუქქს პატარას.  
იმ დროს სასადილო თახაში რამდენიმე მანდილოსანი შემო-  
ვიდა და იმათ დანახვაზედ, აბა, თავი მოვიწონოთ, სამში  
მგზავრმა უფრო ბევრი ფული გადუყარა პატარა მაწანწილას



ამ სიტყვებით: „აკრიფე, მეგობარო, აკრიფე“! თან მფრიდავობისა ლოს მაგიდაზედ ვერცხლის ფულს ჩხრიალი გაძქონდა.

ბავშვი აღტაცებით ილავგებდა ფულს ჯიბეში. მერე მდაბლაც თავი დაუკრა და გაბრუნდა. იმის დაღვრეშილ და დაძმიარებულ პირისახეზედ პირველიად იენთო მოცინარი და მხიარული შევი თვალები.

მერე ბავშვი შეძვრა კაიუტაში, ფარდა ჩამოუშვა და ლინჯად და მოაზრებით დაიწყო ფიქრი თავის მომივალზედ: ამ ფულით გემრიელ საჭმელს ვიყიდი რასმე. იგერ ორი წელიწადია, რაც ცარიელ პურის მეტი ჩემს პირს არა მიჰკარებია-რა. პალტოსაც ვიყიდი ზაშინვე, რაწამს გემი განუაში გაჩერდება. მეყო ასე დაფხრეწილი სიარული. შშობლების-თვისაც დამჩრება საკმარ, ისინიც უკეთ მიმილებენ, სავსე ჯიბით რომ მიუვალ... ამგვარ ფიქრებში იყო გართული პატარა მაწანწალა თავის ფარდის უკან და თავს ბეღნიერად და მხიარულად ჰგრძნობდა. ნაცნობი სამი მოგზაური სასა-დილო მაგიდას უსხდნენ და განავრმობდნენ ლაპარაკს, თან შეიქცევდნენ ლვინოს, ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ მოგზაურობის აბავს, უკებ იტალიაზე დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა იმათვანმა გაპკიცხა იქაური სასტუმროები, მეორემ — რკინის გზები, მესამემ — ყოველი იქაური ცხოვრების ვითარება და შემდეგ სამივემ გაცხარებით დაგმეს ყოველივე იტალიური. ერთმა სთქვა: იაპონიაში ეირჩევ მოგზაურობა-სო, მეორემ სთქვა, — იტალიაში ივაზაკების მეტს არავის შევხედრივერო, მესამემ — იტალიელმა მოხელეებმაც-კი წერა-კო-თხე არ იციან.


„ველური ხალხია“ — სთქვა პირველმა, „ბინძური“ — მიუ-მატა მეორემ, — „ქურ“... — წამოიძიხა მესამემ, მაგრამ ვერ და-თავა. აბაზიანები და მანათიანები სეტყვასხვით დაეყარათ თავ-სა და ზურგზედ. სამივე გაბრაზებული წამოხტნენ და მა-შინ სახეშიაც მოხვდათ გასროლილი აბაზიანები.



— თავში იხალეთ თქვენი სიჩუქარი, — სიბრაჟოს და სიკეთ  
შინელის ღლელვებით შესძინა პატარა იტალიელმა. და საში-  
ნელის ყეცხლით ენთო თვალები.

სთქვა ეს ბავშვმა და გამოვარდა თავის ყიფუტიდან; თან ხელების ქჩევით დაუმატა: „მე ამ მივიღებ მოწყალებას იმა-თვან, ვინც თქვენსაფით შეუტაცხყოფს ჩემ სამშობლო ქვე-ყინას“!

## 6. ပုဂ္ဂန္တရာန၏





## გედნირი პრიცესი.

თეჭარ უაღდიდან

**ე**ს დიდი ხნის ამბავია. ინგლისის მეფეს მემკვიდრე მოუკედა. პრინცი კეთილი, ლმობიერი და მხიარული ხასიათისა იყო. ამიტომ ყველას უყვარდა. მოწყენილს ვერვინ ნახავდა, ყოველთვის ბედნიერების და კიაუთილების ლიმილი უკრთოდა

სახეზედ. ამ დამშვერებულ ლიმილისათვის „ბედნიერი“ უწოდეს პრინცა.

იმისში მოულოდნელმა სიკედილმა ყველას თავზარი დასცა. კველვან გისმოდა: „ბედნიერი პრინცი მოკვდა,“ „ბედნიერი პრინცი ალარ არის...“ ქალაქის მართველობამ და ხალხის წარმომადგენლებმა დაადგინეს, „ბედნიერ პრინცისთვის“ ძეგლი აეგოთ. ქალაქის სამართველოს უფროსში წინადადება შეიტანი, ქალაქის შუა-გულ ადგილას იღებართათ დიდი, მაღალი სვეტი.—„დაე, ამ სვეტიდან გადმოიყურებოდეს ქანდაკება „ბედნიერ პრინცისაო“—სთქვა მან. ხალხის ერთმა წარმომადგენლელმა კი დაუმატა, ეს ქანდაკება ოქროსა და თვალ-მარგალიტით შევამკით, —ეს სიმბოლოა ბედნიერებისაო, აშბობდა იყო.

ზოგიერთი საფუძვლიანად ამტკიცებდნენ, ბედნიერება სიმღიდრესა და ოქროში არ არისო, მაგრამ მაინც თრივე წინადადება მიიღეს.



ერთის წლის შემდეგ, ქალაქის მოედანზედ „ბედნიცას სისხით“ ცის „ქანდაკება, სევტენედ ამართული, დასკეროდა ქალაქს. მისი სამეცნ წამოსასხამი მთლიად ოქროს ფოთლებით იყო შემკული; პრინცის ქანდაკებას ლურჯი თვალები საფირონისა ჰქონდა, ორის ძეირფასის ქვისა, რომლებიც ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ. ხოლო მახვილის ტარზედ ლამაზად მოსჩანდა დიდი ლალი.

ყველა ღლტაცებული იყო „ბედნიცა პრინცის“ მშვენილის ქანდაკებით.

— ერთი ბედნიცერი მაინც არის ქვეყანაზედ, — წაბუტბუტა უბედურმა გლახაქმა, ძეგლს რომ შეპხედა.

— უჰ, რა ლამაზია, სწორედ ანგელოზია, — ამშობდნენ ეკლესიიდან გამომავალნი პატარა მოწაფენი.

—

გიოარა მრავალმა წელმა...

ერთ შემოდგომის ღამეს ქალაქში მოფრინდა მერცხალი. იშისი ამხენაგი მერცხლები ერთის თვის წინად გაფრინდნენ სამხრეთისაფერ, ევვაპტეზი; ეს ერთი მერცხალი კი არ გაჰყვა ეძნელებოდა ნაზ ლელწმის მოშორება. ეს ლელწამი ჯერ ისევ გიზაფხულზედ გაიცნო. პეტელების დევნის დროს მერცხალმა შენიშნა მეტად ლამაზი, ნაზი ლელწამი და მისმა სინარნარემ მოპხიბლა.

მერცხალი ისე შეეთვისა ლელწამს, რომ თითქმის აღარ შორდებოდა. მთელი ზაფხული იმის გარშემო დაფრინავდა და ირთობდა ლელწამს იმითი, რომ ფრენის დროს ფრთებს დაპკრავდა წყალს და შორს გამფანტავდა იმის წინწკლებს, რომელნიც ვერცხლივით ბრწყინავდნენ მზეზედ. ლელწამს ეს ძალიან მოსწონდა და სიამოვნებით უკრავდა თავს.

შემოდგომა დადგა თუ არა, მერცხლები გაფრინდნენ. ამხანაგებს დაშორებულმა მერცხალმა მარტოობა იგრძნო და ლელწამიც თვალში აღარ მოსდიოდა.



— ნეტა რისთვის შევეწიო ასე, — ფიქრობდა მეტაცხოველია  
ლი, — ლაპარაკი ამინ არ იცის, თავ-ცარიელიც არის; დიდი  
ხანია შევამჩნიე, რომ მარტო მე კი არ მიქნებს თავს ასე  
ალრესიანია, ყოველ ნიავის ქროლასაც ასევე უქნებს თავს...

მერცხალი ჩაფიქრდა და სამხრეთისაკენ გაფრენა გადას-  
წყვიტა.

— გამიგონეთ, — უკანასკნელად დაეკითხა ლელწამს, —  
თანამშა ხართ გამომყენოთ?

ლელწამმა თავი გაიქნია.

— მაშ, თუ ეს ალაგი გირჩევნიანთ მეგობარს, მშვი-  
ლობით ბრძანდებოდეთ: ჩვენს შორის ყველაფერი გათავედუ-  
ლია... მე ეგვიპტეში მიყფრინავ...

მერცხალმა შეიფრთხოებიალა და სამხრეთისაკენ გასფრინდა.

მთელი დღე იურინა და დაღამებისას დასვენება დააპი-  
რა. ამ დროს მოფრინდა სწორედ იმ ქალაქში, სადაც „ბედ-  
ნიერ პრინცის“ ძეგლი იღვა. მერცხალმა შენიშნა ძეგლი  
და მაშინვე „ბედნიერ პრინცის“ ფეხებ ქვეშ ჩაჯდა.

— სწორედ საუცხოვო ადგილია იქა, მერე რა ხალვა-  
თობაა, რასაკეირველია, იქ დავისვენება, — სთქვა მერცხალმა.

მიიხედ-მოიხედა, ოქრო შენიშნა პრინცის ფეხსაცმელზე  
და გაიციქრა:

— ეს კირგია: ოქროს საწოლი მექნება ამაღამ... ის იყო  
ფრთის ქვეშ აპირებდა თავის ამოდებას, რომ უცბად წყლის  
წვეთი დაეცა თავზედ.

— საკირველია, — შეჭყვირა მერცხალმა, — კა მოწმენ-  
დილია, ვარსკვლავები ბრწყინავენ, სიიდანლაც კი წვიმა მოდის.

მეორე წვეთი კიდევ დაეცა.

— როვორც ვატყობ, ეს ძეგლი წვიმისაგან ვერ დამი-  
ტარებს, სხვა ბინა უნდა მოედებნო.

მერცხალმა ფრთები გაშალა გასაფრენიალ, მაგრამ ამ  
დროს მესამე წვეთიც დაეცა. მერცხალმა უნებლიერ თავი  
ჰალლა მიღო და „ბედნიერ პრინცის“ სახეს შეხედა. პრინცის



თვალები ცრემლით იყო სავსე და ეს ცრემლები ჰქონდებოდა წევეთ-წვეთად გაღმოსდიოდა. მთვარის შუქი ანათებდა იმის სახეს, რომელიც შეტაც მოწყვენილი და მასთან შევენიერი იყო. შერცხალს გული სიბრალულით აევსო.

— კინა ხორ? — ჰერთხა მერცხალმა.

— ბელნიერი პრინცი.

— „ბელნიერი“ და ისე მუტრელ კი სტირი, რომ შენმა ცრემლში მეც დამასვერლა... მიამზე, რა არის მიზესი შენის აკრეთის შეუხარებისა? — ჰკითხა მეტყველშია.

— როცა უოცხილი ვიყავ და სისახლეში ვტნოვრობდი,  
მაშინ ცრემლებისა არა გამევებოდა რა, — დაიწყო პრინცი. —  
შემთხვევა არა შეკნდა გამეცნო მწუხაჩება, რომელსაც სა-  
სახლეში იდგალი არა აქვს. დღისით ბალში ვსეიჩნობდი, ვთამა-  
შობდი, საღამოთი მდიდრულ დარბაზში ვცეკვავდი. მტკიცე  
და მაღალი კედელი იყო ამართული სისახლესა და ქალაქის  
სხვა სისახლებ შეა. მე არ ვიცოდი და არც ვცდილობდი შე-  
მეტყო, რა ხდებოდა სასახლის ზღუდის იქით. ჩემს გარშემო-  
ყოველი სიკეთე შეუევდა. ცველანი „ბელნიერ პრინცს“ შეძიხ-  
დნენ, და მე მირთლაც ბელნიერი ვიყავი, თუ ბელნიერებად  
ჩაითვლება ჩხოლოდ პირადი სიმოვნება. იმ რიგად, მწუხა-  
ჩების ვამოუცდელი მოვკვედი. ახლა კი ამ სიმაღლიდან ვხე-  
დავ სიღარიბეს, ყოველ უბედურებას ჩემის ქალაქისას, რის  
გამოც ჩემი ტყვიის გულიც კი ვერ იმაგრებს ცრემლებს. იმ,  
მაგალითად, შეხედე იმ პატარა ქუჩას, საღაც პატარა ქოხი  
სდგას. სარკმელთან მიგიდას უზის დედაკაცი. ოქრო-მკედით  
ჰკერავს კაბაზედ რაღაც ძნელ სიხეს. ეს კაბა სისახლის დიდე-  
ბულის ცოლისაა. შეხედე იმის ფერმკრთალ, დალილ სიხეს,  
იმის ნებისით დაჩველერილ თითებს, შეხედე იმის ავადმყოფ  
შეიღს, სიცხისაგან საწოლზედ რომ შეფოთავს; დედას ფორ-  
თოხალისა სთხოვს პირის გასასველებლად და იგი წყალს აწვ-  
დის — მეტი არა აბადია. რა, ფრთა-მაღლო მეტუხალმ, ამოძ-

რე ჩემს ხმალს ლალი და წაულე იმ უბედურებს. მესტიათანი მოვა  
წაულებდი, მაგრამ კვარცხლბეჭა ვარ მიმაგრებული, საძრა-  
ობა არა მაქვს.

— არა მცალიან, — მიუგო მერცხალმა, — ჩემი ამხანაგე-  
ბი ევგიპტეში მელიან. ისინი ეხლა მდინარე ნილოსის ნაპი-  
რებზე დაფრინავენ და სტკამპიან. ცოტა ხანში ჩვენები დიდე-  
ბულ ფარაოს აკლდაპისაკენ გასწევენ. შენ არას დროს არ  
გინახავს ის აკლდამა? შესანიშნავი სანახავია, გარედან შემკუ-  
ლი, შიგნიდანაც ძალიან ლამაზია. თუთ დიდებული ფარაო  
ნაზ ქსოვილით შებურვილი წევს. მისი სხეული სურნელავან  
ბალახებით არის შემურვილი, იმის მიუხედავად, რომ ათასშა-  
ზელმა განვლო, მაინც კარგად არის შენახული, გადაფიტრე-  
ბულ ფარაოს ყელზედ გრძელი ჯაჭვი აქვს ბაცი მწვანე  
ეშმის ქვისაგან ნაკეთები.

— მერცხალო, მერცხალო, — უთხრა პრინცი, — გამე-  
გხავნე, დარჩი მხოლოდ ერთ ღამეს! ოჯ, რომ იცოდე, რო-  
გორ იტანჯებთ ბაჟში წყურვილით და რა მწუხარებით არის  
სავსე დედიშ გული...

— სწორედ რომ ვსოდე, პატარა ბიჭები ირაფრად მე-  
პიტიავებიან. შარშან ზაჟხულს წისქვილს იხლო ვცხოვრო-  
ბდი. მეწისქვილის შვილები — ორი ბიჭი — სულ კენკებს  
მესროდნენ. თუმცა ვერცერთი ვერ მამახვედრეს, რადგან ჩვე-  
ნი შთამომავლობა ვათქმულია მარდის ფრენით, მაგრამ მაინც  
იმათვან ეს უზრდელობა იყო.

მერცხალმა შეხედა პრინცს, პრინცი საშინელი შეწუხე-  
ბული გამოიყურებოდა. შეებრალო მერცხალს.

— თუმცა აქ ძალიანი ცივა, მაგრამ მაინც დავრჩები ამა-  
ლაშ შენთან და სურვილს აგისრულებ.

— ოჯ, ჩემთ საყვარელო მერცხალო, რა მადლობელი  
ვარ შენი!

— მერცხალმა ნასკარტით ამოაძრო მახვილის ტარს ლა-  
ლი დაგაფრინდა აღნიშნულ ქოხისაკენ. ლია სარკლიმიდან შე-  
ფრინდა მკერვალ ქალის ქოხში და მიიხედ-მოიხედა.

სიცხოთ გათარგული ბავშვი საკოდავად იტანჯებოდა და ბორგავდა; დედას კი მეტის დალლილუბით საქმეზედ დასძინებოდა. მერცხალმა სიფრთხალით დასდო ლალი მაგიდაზედ, მერე ბავშვის საწოლთან დაიწყო ფრენა, რომ სიო მოებერა ბავშვის განურებულ შეუბლისხოვების.

— ოჲ, რა რიგად, აგრძლიდა, მიაშა, ილბად უკეთ შევიქნენ, — სთქვა ბავშვმა, — და ტკბილად ჩაეძინა.



მერცხალი ისევ მოფრინდა, ბედნიერ პრინცთან „ და ყოველივე უაშშო

— არ დაიჯერებ, — დაათავა იმან, — ისე კარგად ვგრძნობ თავს და ისე დამთბა, რომ სიცივისაც კი ალარ მეშინიან.

— როცა კეთილ საქმეს მოიქმედებ, მიუგო პრინცმა, ყოველთვის კარგად იგრძნობ თავს...

მერცხალი დაფიქრდა და დაეძინა. მეორე დღეს შემდგრევა  
ცხალი მოელ დღეს საკვებს ეძებდა და პრინციან მხოლოდ  
სალაშოზედ დაბრუნდა.

— ის, ეს არის აჩლა მჩვენგზავრები, — უთხრა იშან, — იქ-  
ნება დამაბარო რამ ეგვიპტეში?

— საყვარელო მერცხალო, — უთხრა პრინცია, — გთხოვ,  
ერთ ლამეს კიდევ დარჩე ჩემთან.

— არა, არა, ეგვიპტეში მელოდებიან, — სხვა ჩემი ამ-  
ხანაები გაემგზავრებიან ნილოსის კუნძულებისაკენ. იქ ცხოვ-  
რობენ ზღვის კაშეები. იქ გროვდებიან უდაბნოდან ლომე-  
ბი წყლის დასალევად. იმათი მწვანე თვალები ზურმუხტები-  
ვით ბრწყინავენ, მათი ლრიალი შიშის ზირსა სცემს ყოველ  
სულდგმულს. ჩვენ კი იმათი არ გვეშინიან...



— მერცხალო, მერცხალო, — სთქვა დალონებულშა პრინ-  
ცია, — აგრე მოშორებით ვხედავ პატარა ოთახში კიბუკს. მა-  
გიდასთან თავდახრილი ზის და გაცხარებული სწერს. მშვე-  
ნიერი ჩაფიქრებული სახე აქვს. მთელი დღე არა უკამინა რა,  
მაგრამ დაუსვენებლივ სწერს, თუმცა ხელები გაშეშებული  
აქვს სიციით. თუ ხვალისთვის პიქსა არ გაათავა თეატრის  
დირექტორისთვის, ისევ მშვიერი დარჩება.

— კარგი, კარგი, ამაღამაც დავრჩები. ერთი ლალიც  
იმას წაულო?

— სამწუხაროდ, ლალი იღარა მაქვს, — უპასუხა პრინცია.



— ଦ୍ୱୀପରୀତୀର୍ଥରେ ତ୍ୱରିତ୍ୟାମାନ ମହାଲକ୍ଷ୍ମୀର ନାମ  
ତ୍ୱରିତ୍ୟାମାନ—ଏହିରେ ଦ୍ୱୀପରୀତୀର୍ଥରେ ସାଫୁରୀରନ୍ଧିନୀଙ୍କା. ଅଶ୍ଵମାର୍ଗରେ ଯାତି ତ୍ୱରିତ୍ୟାମାନ  
ଦା ଓ ମହାବିଷ୍ଣୁଙ୍କ ରାତ୍ରିରେ ଗାୟପିଳିରେ ଏହି କାହାରେ,  
ସାକ୍ଷମେଲିଲା ଦା ଦାମଶ୍ଵରିଦ୍ୱୀପରୀତ୍ୟାମାନ କିମ୍ବାରେ.

ମେହିକୁଚାଲିର ଏହି ଉନ୍ନତିରେ ତରିକିନ୍ତିରେ ଆମଲାମାନ  
କାହିଁ ତରିକିନ୍ତି ଏହି ଗମ୍ଭୀରାର୍ଥକାରିତାରେ, କାହିଁ ଦାସତାନିରେ  
ଦ୍ୱୀପରୀତୀର୍ଥରେ କାହା ଦା ମିଟିରିନ୍ତିରେ କାହିଁକାହିଁ.

ଶାନ୍ତି ବେଦକା ଦା ନାଥକା ଶୈତାନିରେ. କାହିଁକାହିଁ ମାଗିଦାର-  
ତାଙ୍କ ପାତାରା, ନାରୀଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ ତାଙ୍କିର ଶୈତାନିରେ, ମେହିକୁଚାଲିର ଫୁଲଟା-  
କିଲା ଶରୀରରେ ଦେଖିବା ପାଇବା କାହିଁକାହିଁ ମାଗିଦାର-  
ତାଙ୍କ ପାତାରା କାହିଁକାହିଁ ଶିଖିବା କାହିଁକାହିଁ.

— ଏହି ବିନନ୍ଦି କିମିର ତାରିଖିରେ ମହାମହିମିରେ ଆମାରିବାରେ  
କାହିଁକାହିଁ,—ଏହି ଦରନିଶ୍ଚର ମନଶବ୍ଦିରିକା, ବେଳା-କୁ ଦାମଶ୍ଵରିଦ୍ୱୀପରୀତ୍ୟାମାନ  
କାହିଁକାହିଁ କିମିର ତାରିଖିରେ.




ମେହିକୁଚାଲି ମନ୍ତ୍ରକାରିନ୍ତିରେ ତରିକିନ୍ତିରେ ଆମଲାମାନ ଦା କ୍ରୂଢିଲାଦ ଦାବଦିନା.

ମେହିକୁ ଦଲେ ମେହିକୁଚାଲିର ନାମକାରିତାରେ ଗାହାରାରା, କାହିଁକାହିଁ  
ଦାମଶ୍ଵରିଦ୍ୱୀପରୀତ୍ୟାମାନ ତରିକିନ୍ତିରେ ଆମଲାମାନ ଦା କ୍ରୂଢିଲାଦ:

— ଉନ୍ନତା ଗାମିଦାରିକାରେ...

— ମେହିକୁଚାଲି, ବ୍ୟାପାରିକାରେ ମେହିକୁଚାଲି, ଯାତି ଲାମ୍ବେ କ୍ରୂଢିଲାଦ  
ଉନ୍ନତା ଦାରିଦ୍ରେ କିମିରାନ!

— დაზიმორდა, ჩქარი თოვლი მოვა, ყინვის დაჭურებულება  
იქ გვიყინები, ეგვიპტეში კი თბილი და ჩემი მეგობრები  
იქ ბუდეებს იკეთებენ. არა, ძვირფასო პრინცი, უნდა გვი-  
ფრინდე, მაგრამ ნუ მრიწყენ: არ დაგივიწყებ და, რო-  
გორც-კი გაზაფხული დადგება, დაეპრუნდები და მოგიტან  
ძვირფას ქვის, რომელიც შენ მოგვიყდა. ჩემი მოტანილი უფ-  
რო მშვენიერი იქნება შენ გაჩუქებულზე.



— მოიცადე, ჩემო საყვარელო ჩიტუნია, — უთხრა პრინ-  
ცია, — აგერ ქუჩაში დგას პატარა გოგონა, ასანთა ჰყიდის.



**შეხედე:** უცაბედად კალათა რუში ჩაუვარდა და სტულ-წარმოქმნა  
ასანთი. თუ შინ ხელ-ცარიელი დაბრუნდა, მამა დასჯის. ახ-  
ლა საცოდავი სფგას და სტირის. ციკი ქარი ძვალ-რბილში  
უვლის, ამას ვერ ამნიერს, თუმცა თავშალი არ ახვევია და  
ფეხშიშველაცაა. თუ ღმერთი გწამს, ამოიღე ჩემი მეორე  
თვალი და წარულე იმ ბავშვს; მაშისაგან ცემას და რისხვეს  
მაინც გადატანება.

— შენი ნება იყოს, ამაღამაც დაერჩები შენთან, — უთ-ხრა მეტალმა, — მაგრამ მიშძიმს მეორე თვალიც ამოგაცა-ლო, ხომ დაბრმავდები!?



— საყვარელო მერცხალო, — მიუგო პრინცმა, — გვევდ-  
რები, თხოვნა მშისჩულე; მოიგონე პატარა ბავშვის უბელუ-  
რება.

მეტალმა თუსრულა პრინც თხოვნი და გაფრინდა პა-  
რარი ქალთან, ძეირტასი თვალი ხელში ჩაუდო და უკანვე  
დაბრუნდა.

— უმ, რა ლაშაზი შეუშაა, რა ლაშაზი. — წამოიძინა ბავშვი  
და სიხარულით გირკეცა შინისაკენ.

დაბრუნდა პრინციპი მეტყველი და უთხრა:

— ახლა კი ნება-უნგბურად შენთან უნდა დავტე სამუდამოდ, რაღაც აც დაბრუნდი.

— არა, ჩემო კეთილო მერცხალო, საჩქაროდ უნდაჲშემარეა ფრინდე ეგვიპტეში.

— მე შენთან დაიღრჩები სამუდამოდ, —განუმეორა მერცხალმა, —მიიკუნჯა იმის ფეხებთან და დაიძინა.

მეორე დღეს მერცხალი იღარ მოშორებით პრინცს, იმის მხარზედ იჯდა და უამბობდა, რაც-კი ენახა უცხო ქვეყნებში: ვარდის ფერ ყაჯირებზედ, რომელიც მდინარე ნილოსში იკერენ ოქროს თევზებს; იქლების ქარავნებზე, რომელთაც ნელნელა მისდევენ ვაკრები; მთვარის მთასა და შავ-მეფეზე, ბრილის ნაჭრებს რომ ლოცულობს; უზარ-მაზარ გველზედ, ჰალმაზე რომ ისვენებს და იმის ფოთოლთაგან არ იჩირევ ფერით; ჯუჯა კაცებზედ, ტბებზედ რომ დიდრონი ხეთა ფოთლის ნაჭებით დასცურავენ.

— კეთილო მერცხალო, —უთხა პრინცმა, —შენგან ნაამბობი გასაოცარი მანინც ისე არ მოცებს, როგორც ხალხის ტანჯვა-ვაება. სილატაკე და შიშშილი დიდი ვაებაა. მერცხალო, არ ისურვებ გარს შემოუფრენ მთელ ქალაქს და მიამბო, რასაც ნახევ?

მერცხალი სიიმოვნებით ღასთანხმდა და გაფრინდა. წინედ არაფერს არ დაჰკვირვებია ისე, როგორც ახლა. ნახა მდიდარი სახლები, სადაც სცხოვრობდენ განცხრომით, იქვეკი იმათ კარებთან ისხდნენ მშიერნი და ტიტველნი. მერცხალი დაფრინავდა კუკყიონ ქუჩებში და მშვარტლიან სარკმლებში ხედევდა გაყვითლებულ, გამხდარ სახეებს მშიერ ბავ-შვებისას.

ხიდთან რომ მიფრინდა, მერცხალმა შენიშნა ხიუის თალთან კონკებში გახვეული ორი ბავშვი, რომელიც სიცივისაგან ერთმანეთს ეკვროდნენ, ეგება ცოტათი მაინც გავათბოთ ერთმანეთით. „ნეტავი ახლა საჭმელი გვქონდეს —სთქვა ერთმა.“ „წეტრიეთ იქედან,“ დაუყვირა პოლიციელმა; ბავ-შვები შეშინებული გოქცნენ.

მერცხალი დაბრუნდა და უველაფერი უამბო პრინცს.



ՅՀՈՆԱՆ Առ Խաղովշը լա ՑԵԿ ՄԱՏԻՒ:

06月363号  
2022年6月14日

— მე თავით ბოლომდე თქჩოს ფოთლებით დამფარეს, ამოდენა ხნის განმავლობაში თქჩოს ფოთლებით თითქმის ას- ძერა წესს წამოსახსახს და ძლიერ-ლა მაგრდებიან ზედ. დიდი მადლობელი ვიქენები, თუ ცოტ-ცოტაობით ამხსნი თითო ფოთოლს და ლარიბებს დაურიცებ. თითქმის ყოველი ადამია- ნი დარწმუნდებულია, რომ ლქრო გააძლიერებს.

მეტაციური მისამართი და თითო-თითო ფორმოლს აძრობდა წამოსახუამ.

Կողեւը գոտողուն ետուառը ցումը լարայս օժլցուած։ Ըստ այս օյցուառուն առաջարկ պահանջվուած է ամս շեմազգ Շենուն, հոմ թուալու ծացմա թուարուան և ցամեանուալուած։ „Քայն առլա քուրի ցայցաւ,“ „Քայն հոյ ցայցաւ!“ ցուծն ըստ գուման ցայցաւուած։

ქუჩები თოვლით მოიფინა, ბანებს ყინულები დაეკიდა. განენდა ქურქები; პატარა ბიჭებიც თბილიდ ჩატულები და-სრიალებდნ ენ ყინულზედ.

მხოლოდ პატარა მეტეცხელი იყო ცუდ მდგომარეობაში,  
მაინც კი ო მოშორდა პრინცს, თუმცა იხლი ბრძან იყო  
და მოლად გაძარცული.

დიდის წევლებით შოულობრა საკედას მერცხალი. რო-  
დესაც მეპურის დუქანთან პურსა ჰყენყავდა, იქ მყოფნი  
გაოცებით უყურებდნენ როგორც იშვათს მოვლენას. მერ-  
ცხალი-კი ფრთხებს იფრთხიალებდა, რომ გამობარიყო.

მეტად გრძნობის სიკედლის დრო უახლოვდებოდა. თერიონდა, პრინც მხარზე დააჯდა და ჩურჩულით უთხრა:


— ՋԱՅԱՀԱՐԵԼՄ ՅԻՌՈՒՄ!

— მშენდობით, ძელჩასო მეტრზალო! ყოველი სურ-  
ვილი შემისრულებ და მხიარული ვარ, რომ გელისება ევფი-  
პტერში გაფრენა, თუმცა ეშიშობ... დოლხანს დარჩი აქ და...  
მაკოლე უკანასკნელიად. ისე შემიყვარდი, რომ...

— ეგვიპტეში კი არა, —ნელის ხშირ წასჩურჩული შემცირება  
ცხალმა, —სიკედილის სამეფოში მივთერინავ... მაგრამ კარგად  
ვგრძნობ თავს, არა მცირა, მხოლოდ მეძინება. იცი, ამბო-  
ბენ, ძილი და სიკედილი ძმები არიან. მართალია? —სოქვა  
ეს მერცხალმა, აკოცა „ბელნიერ პრინცს“ ტუჩებში და მკვდა-  
რი დაეცა იმის ფეხებთან.

იმავ წამს ქანდაკებილი გამოხდა სოციალი ტურპიალი თითქოს ტყეიის გული პრინცისა ორად გაიპოო.

ელ. ანტონიოს კისა.



## ଧର୍ମ ଧର୍ମ।

(ଶ୍ଵରୁଚତିତ)

I



ଅଟେନ୍‌ଝବିସାସ ହାଥିଲଙ୍ଘା,  
ହୀଲାଶି ଘାରିକୁ ନାଥିଲା,  
କିଂକରିଲାଦା, ଫୁଲା-ଫୁଲାଲାଦା,  
ମାର ତୁରି କ୍ଷମନାଦା ସାମହିଲା。  
ଶ୍ରୀକାନ୍ତିଶ୍ରୀକ୍ଷେତ୍ରାଦ ଶାପୁରାର୍ଯ୍ୟଳ  
ପ୍ରାଣ-ଶ୍ଵେତିଲା ମାନୁଷାଲା କ୍ଷେତ୍ରାଦ ତ୍ରୈତାଲା,  
ଜାରି ଘାରାଲା, ଘାରାଲା  
ଲା ଘାରାଲା ଘାରାଲା ଶାରିପାଲା,  
ମିଳାଇ, କିଂକରିଲା ମହାରାମିଲା,  
ମିଳିଶ୍ରୀରାମା ପିତ ରାମା,  
ତୁମିପ ଘାଟେନ୍‌ଝବା ଖେଳ କିଲେବ  
ଫରିନ୍‌ଦେଲାଶାପ ଏହ ଶ୍ରୀରାମା।

ମାଗରାମ ଗାଁଗା ରାମ ଏନ୍‌ଦେଖ,  
ଶାର ଇଲ ଦା ଶାର ଫରିନ୍‌ଦେଲାଇ?  
ଶାମି ତ୍ରୈତା ତୁରି ଶ୍ରୀରାମିଲା,  
ଦେଲେଲା ପାରିଦେଲାଇ。  
ମନ୍ଦେଲେ ଜାରିଥେ ଏଲାଗି  
ମୁଦାମ ଲାଗେ, ପାତାଲ ହାତିଲା,  
ପିତ ମେହାଲେ ଏହିକ୍ଷେତ୍ର,  
ଏହିତ ମଲାଦେଲା ସତର୍ଣ୍ଣେ ଦରାମିଲା。  
ପ୍ରାଣ-ଶ୍ଵେତିଲାଶାପ ଶ୍ରୀରାମ ଶ୍ରୀରାମିଲା,  
ଏହ ଶ୍ରୀରାମିଲା ପାଲା;  
ପାଲା: ଶ୍ରୀରାମ ଦା ଶାପୁରାର୍ଯ୍ୟଳ —  
ମିଳିକ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରୀରାମିଲା ଏହାଲା।

საშუალება კი მხოლოდ  
 სამი დღიური პურია;  
 სხვა სალსაჩს ცერის პოულობს,  
 თვის ხვედრის უმაღურია.  
 ეშველა... სავსე თავ-თავებს  
 უკვე დაეტყო მწიფობა,  
 მომყის... გადიხდის... სარჩო-კი  
 შუამდის აზარ მიჰყობა,  
 ნაგრამ ჭირშიგან შთენილი  
 გულს აღარ იტეხს ვაეკაცი,  
 ლვთისაგან ელის შველისა...  
 იმედით სცხოვრობს გლეხ-კაცი.  
 და მიღის... დილის ნიავი  
 ესალბუნება მის გულსა,  
 რაღაც იდუმალ-სამო  
 ნანას უმღერის ტანჯულსა.  
 ყით გარიერაების ვარსკვლავი  
 შშეიდ შშრომელს გზასა უნათებს  
 და ახალისებს, ამნეკებს,  
 გულის ნილველსა უქარწყლებს.  
 ჴ, კიდევ დაუახლოვდა,  
 გამოჩნდა მისი ჯეჯილი.  
 სიხარულითა ატოკდა  
 მაშერალი, მკერდ-გაღელილი.  
 სწრაფუად მიიკრა ხის ძირში...  
 პური და ლიტრით თან წყალი  
 იქ დადო... ხელში აიღო  
 თავის პირ-ბასრი ნამგალი.  
 პირს-ჯვარი გამოისახა,  
 დაიიმედა გულიდ  
 და მკვირცხლად დაიტრიალა  
 მარჯვენა კურთხეულია.

II

ଅଳମିଳିବେଳ୍ଯେତିକିତ ଗାମିକୁରିତା  
 ମନେତନେବିତା ମେଉ୍ରେ, ଧରାଇବି;  
 ସେବେଦିନ ଶ୍ରୀପୁରୁଷପର୍ବତ ମିଳାଇଲି,  
 ମିଟ୍ରାନ୍ତର-ମିଟ୍ରାନ୍ତରା ଶ୍ରୀପ୍ରଦିବି.  
 ଶୁଣିବିତ ଦାତରିତ୍ତିବୋଲ୍ଯୁଲ ପ୍ରେଆପୋଲ୍ଯେବି  
 ଏରିଗୁନ୍ତା ଶ୍ରେଦ୍ଧିବି ଚାମ୍ଭେଦି  
 ଏବଂ ବାଦିନିନା ପ୍ରେରପଥିଲି ଫରାଦ  
 ପ୍ରେଲିଙ୍ଗ ମତରିତାଲାଵେବି ନାମେଦି.  
 ବାଦିନାମିଶ୍ରବର୍ତ୍ତା ଜ୍ୟୋତିଲି  
 ଶ୍ରେପିଲେବାନ ପ୍ରୁରିତକ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ମହାମହିମିଲି ପ୍ରେଲିତ ନାରିଶ୍ରୀପ୍ରେବି,  
 ଗଲ୍ଲେବିଲ ଶ୍ରୀଲି ଏବଂ ଗୁଲ୍ମିଲି.  
 ପ୍ରାଣିନାମିଶ୍ରବର୍ତ୍ତା ମଧ୍ୟବିନିମ୍ବା  
 ଦ୍ୱାରିକ୍ଷେତ୍ରି ଶ୍ରେଷ୍ଠିତକ୍ଷେତ୍ରିବାଲି  
 ଏବଂ ପ୍ରକ୍ରିଯା-ପ୍ରକ୍ରିଯା କାନ୍ଦିବି  
 ଶାରମର୍ତ୍ତିବ୍ୟାଦ ହିଂଦୁପ୍ରକାଳି.  
 ମାତ୍ର ଦାନି ମିଳିପା ଶାଶିବାଥ,  
 ଶାଶିମା ନାଫଳାପ ଶାରି ଦାଶିବିନା  
 ଏବଂ କମା-ଶ୍ରେଷ୍ଠିତମି ପ୍ରେଆପିବ କି  
 ତ୍ରୈକି ପ୍ରେଆ-ପ୍ରେବି ମତା-ଦାରି ବସିନିନା.  
 ଏରିଗ୍ରେଲିବ ପ୍ରେଲିତିକା ନିପାପଥିଲ୍ଯେମ,  
 ଦ୍ୱାରିମିଳିମା ଶ୍ରୀଲି ଧାଲିବି,  
 ପ୍ରେଆପିଲି ଏରିନି, ଶ୍ରୀଲାଭଗମିଲି,  
 ଫରିନିବେଲି, କାପି, କେଲିବି,  
 ଶାଖିବେ ମିଳିପା; ମତା-ଦାରିବ  
 ପ୍ରେଲିତ ଶ୍ରୀରତ୍ନିଶ୍ରୀରିତ ପିଲ୍ଲାର୍ଯ୍ୟଦି...  
 ଶ୍ରୀପରେଶ ତ୍ରୈକି ରାତ୍ରି ନାହିଁବେ,  
 ଏବଂ ଶ୍ରୀଲି ରାତ୍ରି ମନ୍ଦିରିଶ୍ରୀନିଜଦି?  
 ଶାଖାବ୍ୟାପ ଏମାତା ରାତ୍ରିବେଶିବା,  
 ଶ୍ରୀଶାମି ଏବଂ ଶ୍ରୀଶାମି ନାମଗାଲିବା,

თავს არ იზოგავს საბრალო,  
 რაკი მოესწრო სამკალა.  
 ძნა-ძნასა მოსდევეს... მაშერალი  
 მთლად ხეითქში გაიშურება,  
 თან სოფლის ნაცრობ შეჩასკენ  
 მალი-მალ გოყურებზ.  
 მოელის თავის ქეთოსა,  
 ჭირ-ლხინის ამწევ-ამტანსა,  
 პაწია სანდროს, ვანიკოს,  
 ტკბილ-მოტიტინე თამარსა.  
 ის მათის ცქერით სულდგმულობს,  
 მათთვის ლოცულობს მარადა,  
 მათთვის მეტ ჯაფას ეწევა,  
 გასაჭირს იმჩნევს არადა.  
 ერთიც გამხედა... ჰა, კიდეც  
 მოდიან, მისკენ მოდიან:  
 თამრო, ვანიკო და სანდრო,  
 დედის წინ ლალად მოხტიან.  
 ქეთოს კალათა უჭირავს,  
 შიგ ულაგია საღრლი:  
 პური, ლობიო წენიანი  
 და ერთი კონა მწევანილი.  
 თან ლიტრით მოაქვს ციც-ციცი  
 ლალი მთის ძუძუს ნაწური;  
